

საინფორმაციო ფურცელი

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

მზღვეველის დასახელება	ს.ს. „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“	
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	ავტომობილის დაზღვევა	ავტომფლობელთა მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა
დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობა ავტომობილის დაზიანება/სრული განადგურება გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, აფეთქებით, მეხის დაცემით, სტიქიური უბედურებებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (ვანდალიზმი) დამატებითი დაფარვა - დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება, შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლა, უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა.	ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მე-3 პირის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და/ან ქონებაზე ზიანის დადგომა.
პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	ევაკუატორის ხარჯები - გარდა ავტომობილის დაზღვევის პირობების 7.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; ექსპერტიზის ხარჯები - ავტომობილის დაზღვევის პირობების 7.6 პუნქტის გათვალისწინებით; საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები.	ევაკუატორის ხარჯები. საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები.
ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები	ფრანშიზა არის თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას და რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი. ფრანშიზა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში.	
დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი: 1.1. დაზიანებაზე, რომელიც არსებობდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე. 1.2. ზარალზე, რომელიც განიცადა დამზღვევმა იმის გამო რომ არ იყო შესაძლებელი დაზღვეული ავტომობილის გამოყენება (სხვა ავტომობილის დაქირავების ღირებულების ჩათვლით); 1.3. მექანიზმების და	1.1. დამზღვევის მიერ განზრახ ან მისი დაუდევრობით გამოწვეული ზიანი; 1.2. ზიანი მიყენებული შემდეგი გარემოებების არსებობისას: - როდესაც ავტომობილს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი; - როდესაც ავტომობილი იმყოფებოდა სადაზღვევო პოლისში მითითებული

ელექტრომოწყობილებების გაფუჭების, მწყობრიდან გამოსვლის, გატეხვის ხარჯებს ძრავის, სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის ნებისმიერ დაზიანებას, გარდა პირდაპირი მექანიკური დაზიანების შემთხვევისა;

1.4. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებული ან აღნიშნული იყო ავტომობილის დაზღვევის განაცხად-ანკეტაში

1.5 ზარალზე და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის გადატვირთვით (ავტომობილში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტომობილში მყოფი ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას), ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, მისი მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების შეგნებული დარღვევით;

1.6. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;

1.7. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტომობილის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

1.8. დაზღვეული ავტომობილის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;

1.9. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ ავტომობილის დაზიანებაზე;

ტერიტორიული ფარგლების გარეთ;

-როდესაც ავტომობილს მართავდნენ ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპიული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ;

-როდესაც ავტომობილს იყენებდნენ ავტომობილის დაზღვევის განაცხად -ანკეტაში მითითებული მიზნებისაგან განსხვავებული დანიშნულებით;

1.3. ზიანი რომელიც არ მიეყენა მესამე პირთა სიცოცხლეს და ქონებას;

1.4. ზიანი, რომელიც მიეყენა მესამე პირთა ქონებას მისი ავტომობილით ტრანსპორტირებისას ან თუ ეს ქონება ჩაბარებული ჰქონდათ დამზღვევს შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად;

1.5. ზიანი, რომელიც მიეყენა მესამე პირთა სიცოცხლეს და ქონებას ავტომობილის პროფესიონალურ ან ორგანიზებულ რბოლაში, ისევე როგორც საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობისას, ან მათთვის მომზადებისას;

1.6. ზიანი, გამოწვეული სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვეულის დაპატიმრების ან მისი ქონების კონფისკაციის მცდელობისას;

1.7. ზიანი გამოწვეული ფორს-მაჟორის შედეგად: ომი (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, რევოლუცია, ხანძარი, წყალდიდობა და სხვა ნებისმიერ არაკონტროლირებადი მოვლენა;

1.8. ზიანი მიყენებული შემდეგი მიზეზით (მიუხედავად იმისა

<p>1.10. უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, გამოწვეული არის იმ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით, რომლის გამოც, დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი და სრული განადგურების რისკზე;</p> <p>1.11. დაზღვეული ავტომობილის კუთვნილი ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის ქურდობაზე ან დაზიანებაზე;</p> <p>1.12. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტომობილი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;</p> <p>1.13. წინამდებარე პირობებსა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;</p> <p>1.14. იმ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დაზღვეული პირის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ანდა ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ ავტომობილზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;</p> <p>1.15. შემთხვევაზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ</p> <p>1.16. შემთხვევაზე ავტომობილის გამოყენებისას მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით ან ავტოტრანსპორტის გაქირავებისას, თუ ამგვარი გამოყენება არ არის მითითებული ავტომობილის დაზღვევის განაცხად-ანკეტაში.</p> <p>1.17. შემთხვევებზე ავტომობილის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;</p> <p>1.18. შემთხვევაზე, რომლის დროსაც ავტოტრანსპორტის მართვისას მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერებების</p>	<p>კონტროლირებადია თუ არა) ბირთვული იარაღის აფეთქება (თუნდაც შემთხვევითი), ბირთვული რეაქცია რადიაცია, ან რადიოაქტიური დაზინძურება.</p> <p>1.9. გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:</p> <p>ა) პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტს; ან</p> <p>ბ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;</p> <p>გ) დაზღვეულის ხელქვეითს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.</p> <p>1.10. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.</p> <p>1.11. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით.</p> <p>1.12. ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.</p>
---	--

ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული

ავტომანქანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან

თვითმკვლელობის მცდელობას ან ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;

1.19. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;

1.20. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;

1.21. დამატებითი დაფარვის რისკით დამდგარ სადაზღვევო შემთხვევაზე, თუ აღნიშნული სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

1.22. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:

1.22.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;

1.22.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;

1.22.3. სტიქიური უბედურებებით (სეტყვა, მეხის დაცემა, ქარიშხალი, მიწისძვრა, წყალდიდობა) თუ პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1.22.4 ავტომობილის პროფესიონალურ ან ორგანიზებულ რბოლაში, ისევე როგორც საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობით, ან მათთვის მომზადებისას.

1.23. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული

მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;

1.24. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

1.25. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით -სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;

1.26. შემთხვევებზე, რომელთა დადგომის დროსაც დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე ანუ გადაუხდელი აქვს შესაბამისი პერიოდის სადაზღვევო პრემია;

1.27. ქურდობის შემთხვევებზე, თუ ასეთის დროს დაზღვეული ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებაში;

1.28. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება და ადგილი ექნება მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტომობილის ადგილიდან დაძვრას;

1.29. შემთხვევებზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას;

1.30. თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ

	<p>მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით.</p> <p>1.31. საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯებზე.</p> <p>1.32. ანაზღაურების გამონაკლისს წარმოადგენს ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.</p>	
<p>სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეტყობინების გაგზავნის ფორმა</p>	<p>მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს; დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს პოლისში მითითებულ ტელეფონის ნომერზე და გადასცეს შემდეგი ინფორმაცია: პოლისის ნომერი; დაზღვეულის გვარი; შემთხვევის მოკლე აღწერა; შემთხვევის დრო და ადგილი; ორი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დამზღვევის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დამზღვევის წარმომადგენელმა)</p>	<p>დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციას ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შესახებ; დაუყოვნებლივ მიაწოდოს მზღვეველს სრული ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დეტალების შესახებ და ამ შემთხვევის დადგომიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება და შესაბამისი საგზაო პოლიციის ოქმი; დაუყოვნებლივ, მიღებისთანავე, გადასცეს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი წერილი, პრეტენზია ან სასამართლოში გამოძახების შეტყობინება;</p>
<p>მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები</p>	<p>ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლების დადგენის, ასევე სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდის დადგენისა და ყველა სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის შემდგომ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ ავტომობილი არ იქნა აღმოჩენილი პოლიციაში განცხადების მომენტიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. თუ 45 კალენდარული დღის განმავლობაში ავტომობილი ნაპოვნია იქნება დაზიანებულ მდგომარეობაში, ანაზღაურდება ამ ავტომობილისადმი მიყენებული ნებისმიერი დაზიანება მე-8 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო</p>	<p>თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მზღვეველი აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს/კანონიერ მემკვიდრეს), რომელსაც ეხება დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით; სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების</p>

<p>მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.</p>	<p>გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი: - დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები; - მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული; - დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია; - სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვით მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;</p>
---	--